სსიპსაქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტი
ინსტიტუტი ტექინფორმი

დებულება

„დამტკიცებულია“

სტუ-ს წარმოამდგენლობითი საბჭოს (სენატის)

2017 წლის 31 მაისის #26 სხდომის #1 დადგენილებით

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 მაისის

#2410 დადგენილებით

2017

თავი I. შესავალიდებულებები

პრეამბულა

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციი სინსტიტუტი **ტექინფორმი** დაარსდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 დეკემბერს №801 დადგენილებით – როგორც სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 მარტის №224 დადგენილებით იგი გაერთიანდა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის რესპუბლიკურ სახლთან და დაერქვა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტი.

საქართველო სსსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 მარტის №111 დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტი გარდაიქმნა საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად, ხოლო 1992 წლის 25 მარტის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს გადაწყვეტილების თანახმად ეწოდა საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი – **ტექინფორმი**.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1993 წლის 26 ნოემბრის №898 გგანკარგულებით საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (ინსტიტუტი) დაევალა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობასა მეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ტექინფორმი დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად სახელწოდებით სსიპ ინსტიტუტი **ტექინფორმი.**

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №246 დადგენილების საფუძველზე ტექინფორმი რეორგანიზებულ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულად – დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახით.

მუხლი 1. ზოგადიდებულებები

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი ტექინფორმი (შემდგომში – ინსტიტუტი) არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომლის ავტონომიურობის ფარგლები, მართვისა და საქმიანობის წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით, რომელსაც ინსტიტუტის წარდგინებით განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
2. ინსტიტუტს აქვს მართვის ორგანოები და დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ინსტიტუტი ახორციელებს სამეცნიერო კვლევით საქმიანობას და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში.
3. ინსტიტუტს ჰყავს წარმომადგენელი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოში, რომლის არჩევის წესი რეგულირდება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის

ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ საუნივერსიტეტო დებულებით.

4. ინსტიტუტს უფლება აქვს ჰქონდეს ბეჭედი (ინსტიტუტის სიმბოლიკით) და ბლანკი შიდა მიმოწერისათვის.
5. ინსტიტუტისოფიციალურიდასახელებაა

ქართულად: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი **ტექინფორმი;**

ინგლისურად: Institute **Techinformi** of the Georgian Technical University.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნებიდა უფლებები

1. ინსტიტუტისმიზნებია:

ა)ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება სამეცნიერო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სფეროში მიმდინარე ინფორმაციულ პროცესებში, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების საკითხებში;

საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ასახვა და სამეცნიერო პროდუქციის გავრცელების ხელშეწყობა;

საზოგადოების, სახელმწიფო და კომერციული ორგანიზაციების უზრუნველყოფა სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ინფორმაციით.

ბ) ქვეყნის სამეცნიერო–ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობა:

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და მის გატარებაში მონაწილეობა: ქვეყნის საინფორმაციო რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების, საინფორმაციო კომუნიკაციის განვითარებისა და სრულყოფის, საინფორმაციო მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებაში ხელშეწყობა; მონაწილეობა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სფეროს, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო პოლიტიკის საკითხებზე სამთავრობო და საუწყებო გადაწყვეტილებების მომზადებაში;

გ)სამეცნიერო კვლევების და ინოვაციების საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარების, აგრეთვე მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებაში ხელშეწყობა;

დ)ქვეყანაში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა, მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეროვნული სამეცნიერო ფონდის საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით;ყველა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საინფორმაციო წყაროების (მ.შ. ელექტრონული წყაროების) ფონდის შექმნა, სამეცნიერო პროდუქციის გავრცელება; ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ სემინარების, კონფერენციების, პრეზენტაციების, გამოფენების და სხვა ღონისძიებებისჩატარება;

ზ) სამეცნიერო პერსონალის მომზადებასა და გადამზადებაში მონაწილეობის მიღება - საინფორმაციო სფეროს სპეციალისტების სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, მეცნიერთა მომზადება სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის საქმეში და სხვ.

2. ინსტიტუტს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა;

გ) უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით ორგანიზება გაუწიოს სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვასამეცნიერო ღონისძიებებს;
დ) ითანამშრომლოს საქართველოს და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან უნივერსიტეტისწესდებით დადგენილი წესით;
ე) მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებშიუნივერსიტეტის წესდებითდადგენილი წესით;
ვ)უნივერსიტეტისმიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში;
ზ) უნივერსიტეტისმიერ განსაზღვრული წესით სტუდენტები ჩართოს სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში;
თ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა, მათ შორის: იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საინფორმაციო მომსახურება, მთარგმნელობითი, საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ბიზნეს ინფორმაციის გავრცელება და სხვ.

3. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
4. ინსტიტუტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან (მმართველ სუბიექტებთან) შეთანხმებით, განახორციელოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა.

თავი 2

ინსტიტუტის სტრუქტურა, მართვა და მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში

მუხლი 3. ინსტიტუტისსტრუქტურა დამართვის ორგანოები

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები შეიძლება იყოს განყოფილება, ბიბლიოთეკა, ჯგუფი და სხვ. ინსტიტუტის საქმიანობისთვის აუცილებელი სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია საშტატო განრიგით.

მუხლი 4.ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულები, მათი ხელმძღვანელობა და საქმიანობა

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე 5 წლის ვადით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, ამტკიცებს დირექტორი და თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი;

2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.

მუხლი 5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები ქმნიან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.
2. სამეცნიეროსაბჭოსსხდომაუფლებამოსილია, თუმასესწრებასაბჭოსწევრთა2/3 მაინც.
3.ინსტიტუტისსამეცნიეროსაბჭოსსაქმიანობასწარმართავსმისიწევრებისაგანსიითიშემადგენ ლობისუმრავლესობითარჩეულითავმჯდომარე.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო:
   ა) განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს;
   ბ) განიხილავს და აფასებს სამეცნიერო განყოფილებების მიერ შემუშავებულ სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს და მათ საფუძველზე ადგენს ინსტიტუტის ერთიან სამუშაო სამეცნიერო-კვლევით პროგრამას;
   გ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
   დ) ღია კონკურსის საფუძველზე ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს/სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;
   ე) ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებული დებულების, მისი ცვლილებებისა ან/და დამატებების პროექტს;
   ვ) ქმნის ინსტიტუტის ეთიკის მუდმივმოქმედ კომისიას და ამტკიცებს კომისიის გადაწყვეტილებებს;
   ზ) მოისმენს და განიხილავს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, ცალკეულ მეცნიერთა საქმიანობის შედეგებს/ანგარიშებს, პრობლემატურ სამეცნიერო საკითხებს, თანამშრომლების სამეცნიერო მოხსენებებს;
   თ) ამზადებს ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის წლიურ ანგარიშს;
   ი) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო მეცნიერ-თანამშრომლებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე მაღალი ავტორიტეტის მქონე მეცნიერები;
   კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
   ლ) ასრულებს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
5. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სხდომაზე დამსწრე სამეცნიერო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტმა.
6. როგორც წესი სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის საფუძველზე. სამეცნიერო საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საკითხის ფარული კენჭისყრით მიღების თაობაზე.
7. სამეცნიერო საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ყოველ სამ თვეში ერთხელ, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომას საკუთარი ინიციატივით. რიგგარეშე სხდომა

შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე სამეცნიერო საბჭოს წევრთა მესამედის მოთხოვნით ან/და ინსტიტუტის დირექტორის ინიციატივით.

8. სამეცნიერო საბჭოს წევრის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:
   ა) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
   ბ) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადება;
   გ) ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დატოვება;
   დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 6.ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

1. სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან საბჭოს წევრთა მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. იგი უფლებამოსილია მოიწვიოს და წარმართოს საბჭოს სხდომები.
2. სამეცნიერო საჭოს თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
   ა) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო საბჭოს მუშაობას;
   ბ) იწვევს სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
   გ) ხმის უფლებით მონაწილეობს საბჭოს გადაწყვეტილებებში;
   დ) მეთვალყურეობას უწევს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას.
4. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი შემთხვევები:
   ა) პირადი სურვილი;
   ბ) სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილება, თუ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;
   გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
   დ) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადება;
   ე) ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობიდან განთავისუფლება.
   ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
5. სამეცნიერო საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს მის უფლებამოსილებებს. მოადგილის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს.

მუხლი 7. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი და დირექტორის უფლებამოსილებები

1. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი შესაძლებლობა პირდაპირ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის წესდებით.
2. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად.
3. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.
5. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურას 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
6. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
7. კანდიდატურის შერჩევისას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.
8. დირექტორობის კანდიდატებისათვის ხმის მიცემა ხდება ფარული კენჭისყრით. შერჩეულია ის კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევრისა.
9. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატი და ვერც ერთმა ვერ მიიღო საკმარისი რაოდენობის ხმები, სამეცნიერო საბჭოს მიერ ინიშნება ახალი კონკურსი, რომელიც უნდა ჩატარდეს საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში.
10. კანდიდატურის დამტკიცებაზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას.
11. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება აკადემიური საბჭოს მიერ ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებამდე.
12. ინსტიტუტის დირექტორს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე/მოადგილეები.
13. მოადგილე დირექტორის არყოფნისას ასრულებს მის მოვალეობას.
14. ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწეს სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში წარმოადგენს ინსტიტუტის სწავლული მდივანი. ინსტიტუტის სწავლული მდივანი ამზადებს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განსახილველ მასალას, უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი გეგმებისა და ინსტიტუტში შესრულებული სამუშაოების ანგარიშების დროულად შედგენას და უნივერსიტეტში წარდგენას, ინსტიტუტის კომპეტენციის ფარგლებში კურირებს მაგისტრატურის და დოქტორანტურის საქმიანობას, ხელმძღვანელობს ინსტიტუტის ვებ-გვერდისათვის მასალების შედგენას და ინტერნეტში განთავსებას.
15. დირექტორის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი შემთხვევები:
   ა) პირადი სურვილი;
   ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
   გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;
   დ) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადება;
   ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
16. დირექტორის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

მუხლი 8. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობსინსტიტუტის დირექტორი
2.ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა მიეკუთვნება ადმინისტრაციულ თანამდებობას.
3. ინსტიტუტის დირექტორი:
   ა) უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის პროექტს;
   ბ) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
   გ) შეიმუშავებს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს და უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს დასამატკიცებლად;
   დ) საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით აცხადებს კონკურსს ინსტიტუტის ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობებზე და ადგენს შესაბამისი საკონკურსო კომისიების შემადგენლობებს;
   ე) თავისი უფლებამოსილების ვადით შეარჩევს და რექტორს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დირექტორის მოადგილის (მოადგილეების) კანდიდატურას;
   ვ) თავისი უფლებამოსილების ვადით შეარჩევს და რექტორს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ინსტიტუტის სწავლული მდივნის კანდიდატურას რომელიც, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, აგრეთვე ასრულებს სამეცნიერო საბჭოს მდივნის მოვალეობებს;
   ზ) შეარჩევს და რექტორს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატურას;
   თ) საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ინსტიტუტის ფინანსური სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;
   ი) უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომელთა მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, რისთვისაც იგი შესაბამისი შუამდგომლობით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს;
   კ) სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით ამზადებს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს;
   ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია დანიშნოს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

თავი 3. ინსტიტუტის პერსონალი

მუხლი 9. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისგან, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება ინსტიტუტის საშტატო განრიგით.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი შეიძლება შედგებოდეს მეცნიერებისა და პოსტდოქტორანტებისაგან.
3. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი.
4. პოსტდოქტორანტია პირი, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად არაუმეტეს 2 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე ირჩევს

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.პოსტდოქტორანტად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

5. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალს დირექტორის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს და ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს შეიმუშავებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც აღნიშნულ წესსა და დამატებით პირობებს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
7. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მუხლი 10. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციის წესი

1. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 5 წლის ვადით ან უვადოდ.
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე უვადოდ არჩეული პირი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციას.
3. ატესტაციიის დროს ხორციელდება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის მიერ გაწეული საქმიანობის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის შეფასება დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან.
4. ატესტაცია ტარდება კანონიერების, სამართლიანობის, საჯაროობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კოლეგიალობის პრინციპების დაცვით.
5. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციას ახორციელებს ინსტიტუტის საატესტაციო კომისია. საატესტაციო კომისიას ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ქმნის უნივერსიტეტის რექტორი.
6. დაკავებულითანამდებობის მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის კრიტერიუმებსა და შეფასების წესს, ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა სიას და ატესტაციის ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს შესაბამისი საატესტაციო კომისია. აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს შესაბამისი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.
7. ატესტაციის შედეგების მიხედვით, საატესტაციო კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:
   ა) პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
   ბ) პირიარ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.
8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუქტით გათვალისწინებული ატესტაციის შედეგი იწვევს პირის თანამდებობიდან გათავისუფლებას.
9. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, ატესტაციის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში (მისი არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ - სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოსსაქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოში.

მუხლი 11. სამეცნიერო და დამხმარე პერსონალთან შრომითი ურთიერთობები

1. ინსტიტუტის შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს არეგულირებს უნივერსიტეტის შინაგანაწესი.

2. შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება სავალდებულოაინსტიტუტის პერსონალისათვის.
3. ინსტიტუტის პერსონალის სამსახურებრივი უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია „უმაღლესიგანათლების შესახებ“ კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითადა დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, ამ დებულებითადაუნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით ან/და ინდივიდუალურ სამუშაოთააღწერილობის ფურცლით.
4. ინსტიტუტის ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისდისციპლინური წარმოების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს ინსტიტუტის ეთიკის კომისია, რომელსაც ქმნის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და რომელიც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით.
5. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, ეთიკის კომისია შესაბამის გადაწყვეტილებას წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს, რომელიც, თავის მხრივ, მას აღსრულებისათვის წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
6. სამეცნიერო და დამხმარე პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
   გ) დისციპლინური ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;
   დ) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა;
   ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 12. მეცნიერის უფლებები და მოვალეობები

1. მეცნიერის უფლებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ინსტიტუტის დებულებით ან/და შრომითი ხელშეკრულებით.
2. მეცნიერს უფლება აქვს:
   ა) გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
   ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
   გ) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;
   დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;
   ე) განახორციელოს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
3. მეცნიერი ვალდებულია:
   ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;
   ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
   გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

4. უნივერსიტეტი და ინსტიტუტი უზრუნველყოფენ სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას.
5. მეცნიერის მიერ აკადემიური თანამდებობისა და სამეცნიერო თანამდებობის შეთავსების საკითხი განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერდადგენილი წესით.
6. მეცნიერის შრომისა და სხვა სოციალურ გარანტიებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა, შრომითი ხელშეკრულება, ინსტიტუტის დებულება.

თავი 4. სხვა დებულებები

მუხლი 13. ინსტიტუტის ქონება, დაფინანსება და სახელმწიფო კონტროლი

1.ინსტიტუტის ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, დაფინანსება და სახელმწიფო კონტროლი რეგულირდება და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.
2.ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი 5. გარდამავალი დებულებები

მუხლი 14. ინსტიტუტის უფლებამონაცვლეობის შესახებ

ახლად დაფუძნებული *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი ტექინფორმი* ჩაითვალოს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფლებამონაცვლედ.